მოსწავლეთა გამოკითხვა, როგორც სკოლის თვითშეფასების ინსტრუმენტი

ქეთევან შაიშმელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ენის დიდაქტიკაში განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის /საგნობრივი ჯგუფის (უცხო ენების (ინგლისური)) მასწავლებელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ქეთევან შაიშმელაშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ თბილისის 82 -ე საჯარო სკოლაში განხორციელებულ კვლევის ანგარიშს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა გამოკითხვის, როგორც სკოლის თვითშეფასების ინსტრუმენტის გამოყენება და მისი სასრგბელიანობის შეფასება მოსწავლეების, მასწავლებლების და ადმინისტრაციის მიერ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 82- საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის (VII-1, VII-2, VII-3, VIII-1. VIII-2, VIII-3, IX-1, IX-2, IX-3 კლასების) მოსწავლეებმა, საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა და დირექტორის მოადგილემ.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

მოსწავლეებმა გამოკითხვის საშუალებით შეაფასეს საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები და გაკვეთილებზე სწავლების ხარისხი. გამოკითხვის შედეგები გადააეცათ შეფასებულ მასწავლებლებს და სკოლის დირექციას; ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მოსწავლეებთან; პირისპირ ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან და ინტერვიუ დირექტორის მოადგილესთან.

ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო მოსწავლეთა გამოკითხვის ინსტრუმენტის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება , მისი ვალიდურობის და სანდოობის შეფასება და მიღებული შედეგების გამოყენების სამომავლო პერსპექტივის განხილვა.

ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა გამოკითხვა სკოლაში ხარისხის გაუმჯობესების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ასევე, გამოიკვეთა ის ფაქტორებიც, რაც შეიძლება რესპოდენტთა აზრით, განაპირობებდეს ან ხელს უშლიდეს ინსტრუმენტის ვალიდურობას და მიღებული შედეგების სანდოობის საკითხს.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც სკოლას მოსწავლეთა გამოკითხვის ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებაში დაეხმარება.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი, ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ნათია ანდღულაძეს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული აქტიური დახმარებისთვის, სასარგებლო რჩევებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდი სსიპ თბილისის 82 -ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეს მარიკა კირვალიძეს, რომლის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით და დახმარებით, განხორციელდა კვლევა.

მადლობას ვუხდი, სსიპ თბილისის 82-ე საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, კვლევაში მონაწილეობისთვის, დახმარებისთვის და ნდობისთვის.

მადლობას ვუხდი სსიპ თბილისის 82 -ე საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებს თანამშრომლობისთვის, გამოცდილების გაზიარებისთვის და კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის.